



## თარგმანი TRANSLATION

---

### იუნუს ემრე - ლექსები

#### ასმათ ჯაფარიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, 0179, თბილისი,  
ილია ჭავჭავაძის გამზირი №1,  
+995599503356. japaridzeasmat@yahoo.com  
Orcid ID : 0000-0001-6594-6049

#### აბსტრაქტი

იუნუს ემრე ცნობილი თურქი სუფი პოეტია. მისი დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეებში. წერდა რელიგიურ-მისტიკურ ლექსებს სადა, ხალხისთვის გასაგები ენით.

**საკვანძო სიტყვები:** ლოცვა, მოყვასი, იარა, ღმერთი, სიყვარული, წუთისოფელი

#### თურქულიდან თარგმნა ასმათ ჯაფარიძემ

\*\*\*

შენი სიტყვა იარად თუ დაეჩნევა გულზე მოყვასს,  
ფასს დაკარგავს გულმხურვალე ლოცვა შენი,

ვერაფერი ჩამორეცხავს ამ მწიკვლს შენი გულიდან და  
 განკითხვის ჟამს შერცხვენილი ნუგეშს ნურავისგან ელი.  
 წამია წუთისოფელი, სიცოცხლე წარმავალია,  
 ვინც მიწას ებლაუჭება, უთუოდ გზას ამცდარია,  
 წმინდანებიც კი გაფრინდნენ, განვლეს ეს გზასაყარია,  
 ფენიქსის მსგავსად აღმდგრებმა გახსნეს სამოთხის კარია.  
 ადამიანს ვერ დაარქმევ იმ არსებას, ვის არ ძალუძს შეიმეცნოს  
 ღმერთი,  
 ფასს ვერ დავდებთ, თუ შემოქმედს არ მიუძღვნა სისხლის ყველა  
 წვეთი,  
 არ დაადგა გზას თან ვიწროს, თანაც შვების მომგვრელს,  
 ქედმაღლობა დავძლიოთ და შევდაღადოდოთ ყოვლის მომცველს.  
 ღმერთს უარყოფ? დამიჯერე, ნახევარიც არ ხარ კაცი.  
 უფლის მგმობლის სამკვიდრებლად, ვფიქრობ, თავლაც მეტი  
 არის,  
 უზენაეს სიტკბოებას ვინც ვერ იგრძნობს, ჭეშმარიტი სიყვარუ-  
 ლის მან არ იცის ფასი.  
 გიმეორებ, კაცი არ ხარ, თუ არ გმოსავს ღვთაებრივი მადლი.  
 გზას ადგახარ ჭეშმარიტს და სანეტაროს?  
 უფლის სიტყვა ფასეული არის შენთვის?  
 სურვილების დამარცხებით გინდა გზები უფლისაკენ  
 გაგეკაფოს?  
 ხნულში მარცვალს სიკეთისას აღვივებ და მისგან მოწყალებას  
 ელი?  
 არ შემცდარხარ, იმ მადლს იმკი, მოპოვება რომ არს ძნელი.  
 მე კი ვცდილობ, ღმერთის სიტყვა თქვენთან ისე მოვიტანო,  
 თავლი ერბოს ავურიო, დაგიტკბოთ და დაგიშაქროთ,  
 მთელი ავლა და დიდება, რაც გამაჩნდა, თქვენ მოგმადლოთ,  
 ღვთიურ სიტყვას გეუბნებით და არ მარილს, რომ ნათქვამი  
 დაგიმლაშოთ.